E-343
1993

თინათინ მანია
5 წლის

ყილო

№ 2 თებერვალი, 1993 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გილოცავთ!

ჩვენი ჟურნალის 1993 წლის მეორე ნომერი მთლიანად ეძღვნება ბავშვთა შემოქმედებას.

ალბათ იცით, რომ გასულ წელს «დილამ» გამოაცხადა შემოქმედ ბავშვთა კონკურსი, რომლის შემაჯამებელი კონცერტი ამა წლის იანვრის ბოლოს გაიმართა.

კონკურსის მიზანი იყო, ბიძგი მიეცა ჩვენი ბავშვების ნიჭიერების გამოვლინებისათვის. თქვენ ხომ ყველანი ათას რამეზე დაფიქრებულხართ; ყველას თქვენ-თქვენი თვალით შეგიხედავთ ამ საოცარი და მშვენიერი სამყაროსათვის; ყველას საკუთარი სიხარული და სატკივარი, საფიქრალი, საამაყო და საოცნებო გაქვთ. ზოგი ოცნებობს აშენოს, ზოგი ადამიანის სხვადასხვა ჭირის განკურნებაზე ფიქრობს, ზოგს ახლავე კალამი თუ ყალამი უჭრის და ცდილობს, თავისი სათქმელი ქაღალდზე გადაიტანოს, — ლექსად და მოთხრობად, სიმღერად, ნახატად გამოთქვას.

ჰოდა, ჩვენ გვინდოდა, მხარში ამოვდგომოდით იმათ, ვისაც ეს, ბოლოს ნახსენები, შემოქმედებითი ნიჭი აქვს, გაგვემხნევებინა, წაგვეხალისებინა ისინი.

«დილის» კონკურსს ჰყავს თავისი გამარჯვებულები და პრიზიორები, რომელთა სრული სიაც შეგიძლიათ ამ ნომრის გარეკანის მესამე გვერდზე იხილოთ.

გამარჯვებულების და პრიზიორების დაჯილდოებაში დაგვეხმარენ საქართველოს ეროვნული ბანკი (პრეზიდენტი ბატონი დემურ დვალიშვილი), ბინსოცბანკი (თავმჯდომარე ბატონი ჯუმბერ გონაშვილი), მცხეთის საკრებულოს გამგეობა (თავმჯდომარე ბატონი გელა მიჭელაშვილი); აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირი, კულტურის სამინისტრო, ჟურნალისტთა ფედერაცია, გაზეთი «ლიტერატურული საქართველო», «ქალთა გაზეთი», სურათების ეროვნული გალერეა, განათლების სამინისტროს ესტეთიკური აღზრდის ცენტრი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრი (თავმჯდომარე ბატონი სოსო მაჭარაშვილი) და სხვები. ბავშვები საკუთარი წიგნებით დაჯილდოეს პოეტებმა ლიდა სტვილიამ, გივი ჭიჭინაძემ, შოთა ხოდაშნელმა, გიორგი წერეთელმა; გარდა ამისა ბავშვებს გადაეცათ ხელნაწერი «ვეფხისტყაოსანი», აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის და მაყვალა მრევლიშვილის ლექსების ხელნაწერი წიგნები.

რედაქცია უღრმეს მადლობას მოახსენებს მათ ყველას.

დიდი მადლობა იმათაც, ვინც ხელი გაგვიმართა და ფული გადმოგვირიცხა ჟურნალისათვის ქაღალდის შესაძენად თუ სხვა სასტამბო ხარჯვების გასაღებად (ეროვნული ბანკი, ბინსოცბანკი, ივერთბანკი — მმართველი ბატონი ოთარ თოხაძე, მრეწვმშენბანკი — გენერალური დირექტორი ბატონი ზაალ გენძეხაძე, და სხვა ორგანიზაციები).

დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის კერძო პირთა შემოწირულობანი. ბევრმა ბავშვმა, «დილის» ჭეშმარიტმა მეგობრებმა, შემოგვწირა 100 მანეთიდან 5000 მანეთამდე თანხა, და ჩვენთვის ყველა ეს საჩუქარი ერთნაირად ძვირფასია. ფასდაუდებელია ჩვენთვის აგრეთვე უცხო მამაკაცის მიერ, შემოწირული 30000 მანეთი.

დაბოლოს გვინდა გითხრათ, რომ პრიზიორი ბავშვებიდან ზოგს თავისი დიპლომი არ მიუღია. ყველა მათგანს შეუძლია მოგვაკითხოს მის მისაღებად რედაქციაში.

პრიზიორებს შორის დასახელებული არ არის ინგილო გოგონა ლუბა ფოლადაშვილი, მაგრამ თავისი ჯილდო მასაც ელის რედაქციაში იმ უსაზღვროდ თბილი, სიყვარულიანი და გულმართალი წერილისათვის, რომელიც მან ჩვენს რედაქციას და, ალბათ, ჩვენი ჟურნალის საშუალებით, თავის თანატოლ ქართველებს გამოუგზავნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F-6161

დათო ბოსტანაშვილი
10 წლის

თათია მთვარელიძე
10 წლის

მაგული

ჩემო მამულო, როგორ მიტკბები,
შენთვის დავკრიფე, კარგო, ტიტები,
ხომ გიხარია, ხომ გიხარია,
მეც რომ ქართულად ვეტიკტიკები.

საქართველოს
ეროვნული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიფქია

შორენა პავლიაშვილი
13 წლის

მე ფიფქი ვარ, პირველი თოვლის პირველი ფანტელი, აბა, კარგად შემომხედეთ, როგორი ქათქათა კაბა მაცვია, რა ნაზი, სათუთი და უმანკო ვარ, ხელ-და ფეხშეუხებელი.

განუზომელი სიხარულით მოვფრინავდი ციდან ტოლებთან ერთად, ვიცოდი, რომ ჩემი აღტაცების ტოლფასად გოგო-ბიჭების მოლოდინი შემომეგებებოდა.

„თოვლი მოდისო", — აიტაცებს ყიჟინა ყველას და ჩვენც გათოშილები ერთმანეთის გვერდით ფაფუკად დავსკუპდებით. მიწის შვილები მიწასვე ვუბრუნდებით, გულში ჩავეკვრებით და ვტირით. ეს ცრემლები ლბილია და ამიტომაც ეწაფება ასე ძალუმად დედამიწა. რა ეშველებოდა მიწას უჩვენოდ? მოწყალების თეთრ კალთას ვაფარებთ, ყინვისა და სიცივისაგან ვიცავთ, წყურვილს ვუკლავთ. ამიტომ იტყვიან ხოლმე მადლიერებით, თოვლი მოვიდა და დათბაო. დიახ, ჩვენ ცივი ფანტელები სულაც არა ვართ. ეს გზაში, ამხელა სავალზე გარედან ვიყინებით, თორემ... გული, გული ჩვენცა გვაქვს და თანაც უცნაურად თბილი. აბა, ყელ-კისერი დაისრისეთ ჩვენით, ტანი დაიზილეთ, როგორ გახურდებით, რა ჯანსაღი ფერით აგიკიაფდებათ სახე.

გაძარცვულ ხეებზე რომ ჩამოვსხდებით, მაშინ პეპლები გვგონია ჩვენი თავი. ჰო, ზამთრის პეპლები ვართ, ჩვენც ხანმოკლე, ლამაზი სიცოცხლით ვცხოვრობთ. ეს გვირჩევნია მე და თქვენმა მზემ. აი, დიდებული მზე გამოანათებს და გარემო აბრწყინდება ჩვენი სილამაზით. ამ სილამაზეს ბევრი ვერ უძლებს და ორ წყვილ თვალს კიდევ იშველიებს ჩვენს საყურებლად: თ-ე-ე-ე-თრი, თ-ე-ე-ე-თრი მშვენიერებაა ირგვლივ...

ონავარი ბიჭები შეუბრალებლად მოგვიმწყვდევენ მუჭებში და გვაგუნდავებენ. ჩვენ ცრემლებს ვღვრით და ამას „წყლიან გუნდას" ეძახიან. ეს კიდევ არაფერი, ხანდახან გულში ქვას ჩაგვიდებენ და გოგონებს უდიერად ესვრიან. ამ გუნდამ ზოგიერთს თავიც შეიძლება გაუტეხოს, ზოგს კი — გული. ჩემი აზრით, თავის გატეხვა ჯობია გულის გატეხვას. ერთი მრთელდება, მეორე კი — არა.

გემუდარებით, გულში ქვას ნუ ჩამიდებთ, ისე ცოტა გულქვაობაა ამქვეყნად?! ნუ გამჭყლეტავთ და ნუ ამატირებთ, ძალიან გულჩვილი ვარ.

როცა ფეხებით გვსრესენ, ნიჩბებით გვყრიან, მობეზრებულები გვხვეტავენ, მაშინაც ვკვნესივართ, ვღრჭიალებთ, მზის გამონათებას ვნატრობთ და მის დაცხუნებამდე ღობის ძირებში ვიმალებით „შიშნაჭამნი".

გვიხარია, პატარებთან ერთად, ახალი წლის მობრძანება. ჩვენი თოვლის პაპა რომ არა, რა გემო ექნებოდა ზამთარს. ჰოდა, ჩვენ სანატრელნი, საყვარელნი ვართ... გავუფრთხილდეთ ერთმანეთს.

მე პირველი თოვლის პირველი ფანტელი მქვია. პირველობას ვჩემულობ? მე სხვებზე ლაღად მოვფრინავდი, ღმერთმანი, ამის მოწამეა მაღლა ცა და ძირს დედამიწა...

მინდია არაბული
12 წლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწვანე მთები

მწვანე მთები
ჩამოჭეურებენ
ლურჯ ზღვას...
არა!
მთები ზღვის გარდა
მართლა არავის
უყურებენ სხვას,
რაო, მთებო,
რას მიჩვენებთ,
რას მასწავლით!
მითხარით, რას?
გეუბნებით თქვენ,
თვეზებო: მთები
გვასწავლიან გზას,
მთა ჩურჩულებს...
გამუდმებით ჩურჩულებს,
მაგრამ სამწუხაროდ,
არაფერი ესმის ზღვას...
მწვანე მთები
ჩამოჭეურებენ
ლურჯ ზღვას...

მირანდა კახიძე
11 წლის

დღე და ღამე

დღე იწურება,
და ღამე ჩნდება,
ტყეებში ბინდი
ნელ-ნელა ჯდება.
მზე იმალება
და მთვარე რჩება...
ჯერ შვიდ საათზე
საღამოვდება.
ადამიანები
ელიან უველა:
როდის გათენდება,
როდის განათდება...
დღე იწურება
და ღამე ჩნდება,
ტყეებში ბინდი
ნელ-ნელა ჯდება.

ფოთოლი

ფოთოლი ხეს მოსწყდა,
ხეს მოსწყდა ფოთოლი,
დღემ მარტო დატოვა
ბატარა ობოლი,
ღამემ კი გაქუსლა
ქვითინით, ქლოშინით,
ფოთოლი, ფოთოლი,
ხეს მოსწყდა ფოთოლი.

საბრალო ფოთოლი

ნინო ხარიტონაშვილი
12 წლის



აიკრიფა გაზაფხულმა თავისი თბილი, ალერსიანი კალთები და არემარეს გრილი შემოდგომა დაეპატრონა. დაიწყო შემოდგომისათვის ჩვეული წვიმები. ფოთლებმა ფერი იცვალეს. ხანდახან ქარი წამოიქროლებს და ფოთლების ჩამოცვენას ცდილობს. დაიწყო ფოთოლცვენა. გაშიშვლდნენ ხეები და თითქოს ამ სიშიშვლისა შერცხვათ, საცოდავად მოიბუზნენ. ქარი დაქრის გამარჯვებული მეომარივით და ხეებს ფოთლების კორიანტელში ხვევს. მიილია შემოდგომა. ერთ ხეზეღა შერჩენილა პატარა, გაყვითლებული ფოთოლი. იგი თითქმის გამხმარია და სიცივისაგან ცახცახებს. ფოთოლი სადაცაა მოწყდება ტოტიდან. მთელი ძალით ცდილობს, მაგრამ მოეჭიდოს ხეს. ალბათ სულ მალე ქარი მას დააშორებს დედა ხეს, და სხვა ფოთლებთან, თავის და-ძმებთან ერთად მიწაზე აღმოჩნდება.



ფოთოლმა ქვემოთ ჩაიხედა და თავბრუდამხვევმა სიმაღლემ თავზარი დასცა. დედა ხემ იცის, რომ მალე ქარი ამ პატარა ფოთოლსაც მოაშორებს, ფოთოლი მიწაზე დაეცემა, დალპება და მიწად იქცევა. ხისთვის ეს მძიმეა, მაგრამ არ შეუძლია ეს ხვედრი აცილოს ფოთლებს. ჩამოიქროლა ქარმა, მოწყვიტა ხიდან უკანასკნელი ფოთოლი და ჰაერში ააფრიალა. საბრალო ფოთოლი ფარფატით დაეშვა ქვევით, მაგრამ ნიავმა იგი მდინარისაკენ წაიღო. მდინარის ცივმა ტალღებმა ააქანავეს და იავნანის სიმღერით გულში ჩაიხუტეს. საბრალო ფოთოლი... იგი თავის თანამოძმეებთან მოხვედრასაც ვერ ეღირსა.



რეზიკო ლომთაძე «ფყალქვეშ»
8 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოი, დიდგორო

თამარ ჟუჟუშვილი
13 წლის

ოი, დიდგორო, ტიტების ჯარად ქცეულო მიწავ,
ოი, მთებო, ბუმბერაზნო, ცამდის აწვდილნო,
ოი, ბრძოლის ველო, წინაპართა სისხლით მორწყულო,
ოი, ქართლის მიწავ, ხმლებითა და ჯავშნით შემოსილო.
სამშობლოსათვის დადუპულო ქართველთ მხედრებო,
დავითის ხმლით და ფარით დაცულო ჩვენო საქართველო,
რამდენი შვილი დაგდუპვია, ბედკრულო, მაშინ,
რამდენი წმინდა სული ქართველის წასულა ცაში.
დღეს იმ ადგილას აღმართულა მემორიალი,
დღეს ისტორია ამღერებულა იმ ცივ ლოდებში,
ღმერთო, უფალო, გვადავითე და გვათამარე
ჩვენს ბედკრულ მამულს ნუ მოაკლებ კმირებს ამგვარებს.
ოი, დიდგორო, ტიტების ჯარად ქცეულო მიწავ,
ოი, მთებო, ბუმბერაზნო, ცამდის აწვდილნო,
ოი, ბრძოლის ველო, წინაპართა სისხლით მორწყულო,
დაე, აღორძინდეს თავისუფალი, დიდი საქართველო.



ნინო კლდიაშვილი
7 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან კიკნაველიძე
5 წლის

მეგობარი

მარიკა გიორგაძე
12 წლის

ერთ ლამაზ მინდორზე უამრავი ყაყაჩო გაშლილიყო, რომლებსაც გარშემო ფრთებფარფატა, შავკოპლებიანი წითელი პეპელა დასტრიალებდა თავს.

პეპელამ ერთი მოწყენილი ყაყაჩო შეამჩნია და მასთან მიფრინდა.

— რატომ მოგიწყენია? — ჰკითხა ყაყაჩოს.

ყაყაჩომ ერთი ამოიოხრა, თავი მძიმედ ასწია, მაგრამ ცნობისმოყვარე პეპელას არაფერი უპასუხა და ისევ ჩაქინდრა თავი.

პეპელა არ მოეშვა. თავს დასტრიალებდა ყაყაჩოს და მოწყენის მიზეზს ეკითხებოდა. ბოლოს ყაყაჩომ აკანკალებული ხმით მიუგო:

— განა ვერ მამჩნევ, როგორი მახინჯი ვარ?!

პეპელა გაოცდა. ნეტავი რას ამბობსო?! — გაიფიქრა გულში, ყაყაჩომ კი განაგრძო: — გუშინ ნიავმა ჩამიქროლა და ერთი ფურცელი მომტაცა, დღეს კი ჩემს მეგობრებთან ერთად თამაშს ვერ ვახერხებ...

პეპელამ ყურადღებით შეათვალიერა, ძალიან შეეცოდა და სურვილი გაუჩნდა, როგორმე დახმარებოდა.

— გული არ გაიტეხო, ჩემო კარგო... შენ ისეთი ლამაზი ხარ, ეგ ნაკლი არც გემჩნევა...

— არა, არა... — თავი გაიქნია ჯიუტად ყაყაჩომ და უფრო მოიწყინა.

პეპელა ახლოს მიფრინდა ყაყაჩოსთან და ყურში ჩასჩურჩულა: — მე ვიცი, რომ მალე მოვკვდები, ალბათ რამდენიმე საათში; ჰოდა, ჩემი ფრთები გამოიყენე შენს მეოთხე ფურცლად.

— რას ამბობ?! — თავი ასწია გაოცებულმა ყაყაჩომ.

— სხვა დახმარებას ვერ გაგიწევ... — ფრთები შეარხია პეპელამ.

— არა, არ მინდა! — მტკიცედ მიუგო ყაყაჩომ.

— აბა მეგობრებთან რომ ვერ ცეკვავ? — ჩაეკითხა პეპელა.

ყაყაჩო ერთხანს გარინდებული იყო, მერე ამაყად ასწია მაღლა თავი და პეპელას მტკიცე ხმით მიუგო:

— აუცილებლად ვიცეკვებ... აუცილებლად...

— მერედა დაცინვის არ გეშინია?! — ისევ ჩაეკითხა პეპელა.

— არა, თუ შენისთანა მეგობარი გვერდით მეყოლება, მე არაფრის შემეშინდება, — მიუგო ყაყაჩომ ჭრელ პეპელას და მადლობის ნიშნად ტანი შეარხია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათვლა

აკალ-ბაკალ-მაკალი,
ვიცი ძველი ზღაპარი,
კურდღლებს უყვართ ჭარხალი,
ციყვს — თხილი და კაკალი,
მგელს — ღორის ბარკალი,
მე — ცხენი და ფარ-ხმალი.

შაქრო ქიტიაშვილი
7 წლის

...ალ „ დილის"

ზეიმზე

მზეთარეში... ხაკ ეაშ!
კაჩეც ქოხდის „დილა" ხეხდაშ,
ეს ოქეეა ბარგი ბუეშე,
ასე ანბაზს ჩეცანხაკ —
ხარძაეეშის მეურნალი
ერაის ხეეხი ეეურნალი,
ძაძ გეუდეთ კარი ფართოდ,
რაშ ხეგანი გაანარდოთ.

ქათმის სიმღერა

ეკეიგონე ეპანი,
კვერცხს უმღერის ქათაშე:
— არ ვეიერდება აკვანი,
არ ვეიერდება ხაანი,
მე მაქეს დიდი ფრთეები,
ეეილო, ეენაცვლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათო აბუაშვილი
12 წლის

პატარა სპილოს ამბავი

გიორგი ქანთარია

9 წლის

ცხელ აფრიკაში, სადაც არასოდეს არ ცივა, ცხოვრობდა სპილო ლარსონების ოჯახი. ამ ოჯახში ერთი ჯიუტი და ბუზღუნა სპილო გაჩნდა. ძალიან სასაცილო და გაბერილი ვინმე იყო. ძალიან დიდი ცხვირი და ფართო ყურები ჰქონდა, თუმცა იმ ყურებში იმდენი ჭუჭყი გროვდებოდა, რომ მზონი არაფერი ესმოდა.

ერთხელ დაიჟინა, რადაც არ უნდა დამიჯდეს, მარტორქა უნდა ვნახოო. წავიდა მარტორქის საძებნელად.

იარა-იარა და შეხვდა კურდღელს:

— ეი, შენ, მანდ ვინა ხარ? თუ მარტორქა ხარ, სჯობს დამენახო, თორემ თუ დაგიჭირე, მაგ ერთ რქასაც ამოგაძრობ, გაიგე?! მე სპილო ლარსონი გახლავარ, გაიგე?! მე სპილო ლარსონი გახლავარ, გაიგე?!

— კ-კ-კი, ბა-ტონო ლარსონ.

— აი, ეგრე. — დაუყვირა სპილომ.

იარა სპილომ, იარა და შეხვდა დათვს.

— ეი, შენ, ვინა...

— მ-მ-მ-მ-მ! — შეუბღვირა დათვმა.

— არა! უკაცრავად, თქვენ მარტორქა ხართ?! — მაშინვე მოტყდა სპილუნა.

— არა!

— მაშინ ბოდიში, — უთხრა სპილუნამ და გზა გააგრძელა.

იარა, იარა. შეხვდა მარტორქა.

— ეი, შენ, ერთი რქა რომ გაბია, ხო არ გინდა ამოგაძრო?!

— მე მარტორქა ვარ!

— ხარ და იყავი, მერე ვინ გიშლის?!

— შე თაგვო, შენა, გცემ, დაგარტყამ ამ ჩემს რქას და აქედან გაფრინდები!

— მე წავედი — თქვა სპილომ და მართლაც წავიდა.

როცა სახლში მივიდა, დაიტრაბახა: მარტორქა ვცემეო. ყველას გაუკვირდა.

ეს ამბავი ისე გავარდა მსოფლიოში, რომ ჩემამდეც მოაღწია.

ანა ჭილაძე
7 წლის

გაზაფხული

ნანა ჩოთირიძე
12 წლის

ქვეყანას უყვარს წელიწადის
დროთა ცვალებადობა,
მაგრამ ალბათ ურჩევნიათ
გაზაფხულის დადგომა.
ამწვანდება ტყე და მდელო,
დაეფრქვევა ხეს ცვარი,
გაიღვიძებს ბუნება და
ამღერდება მერცხალი.
ამოეფენ მიწიდან თავს
ენძელა და ციცქნა ია,
გაზაფხულის მოსვლა, ნეტავ,
ქვეყნად ვის არ უხარია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲝᲗᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ
7 ᲬᲚᲘᲡ

ზაფხული იყო. მარწყვმა ბუჩქებიდან გამოაჭყიტა, თან ეშინიდა, არ მომწყვიტონო. გაიხედ-გამოიხედა და დაინახა, რომ ბავშვები მარწყვს კრეფდნენ. შეეშინდა, მაგრამ დრო აღარ ითმენდა, თავი უნდა გადაერჩინა. მოიხარა და ფოთოლს შეაფარა თავი. ბავშვებმა მარწყვის კრეფა რომ დაამთავრეს, შინ წავიდნენ. მარწყვმა ისევ გამოყო თავი ბუჩქიდან, იქაურობა შეათვალიერა და მიხვდა, რომ მარტო დარჩენილიყო. ახლა სიმარტოვის შეეშინდა. ამასობაში მარწყვის სეზონიც მიიწურა. მარტო დარჩენილი მარწყვი ზედმეტად დამწიფდა და ბოლოს მოსწყდა თავის ბუჩქს, ჩამოვარდა მიწაზე და შემდეგ დალპა.

ისევ დადგა მარწყვის სეზონი. ისევ გამოისხა იმ ბუჩქმა მარწყვი. ისევ მოვიდნენ ბავშვები დასაკრეფად. მარწყვი უკვე აღარ დაიმალა. სხვა მარწყვებთან ერთად ისიც დაკრიფეს ბავშვებმა და მხიარულები შინისაკენ გაემართნენ.

ᲒᲘᲕᲘ ᲒᲐᲒᲣᲐ
9 ᲬᲚᲘᲡ

დათუნა თუშაბრამიშვილი
5 წლის

ბეგრის

გავიზრდები, ბებო, გადაგიხდი ამაგს,
მინდვრის ყვავილებით მოგიქარგავ კაბას.

ანანო ჩხოლარია
7 წლის



ჩემს ლამაზ თბილისში
რამდენი ტაძარია,
რამდენი ხატი და რამდენი სანთელია,
ქრისტესთვის ანთებული
რამდენი ქართველია,
ანანოს გულში კი
ნამდვილი ხანძარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ ბერიძე
9 წლის

მე ერთი ძალიან ახლო მეგობარი მყავს, მას წიკო ჰქვია. თან ადამიანი კი არა, ჭიანჭველაა. წიკო ძალიან მშრომელია და გარეთ სულ საჭმლის საშოვნელად დადის. ერთხელ დიდი ხოჭო იშოვა და შინისაკენ მიეზიდებოდა, მაგრამ უეცრად ერთი აბეზარი კალია დაეჯახა და წააქცია. წიკო განრისხდა და კალიას დაუყვირა: — როგორ არა გრცხვენია, წამაქციე და ბოდიშსაც აღარ მიხდი, მთელი დღე უსაქმოდ დაეხეტები, ახლავე აქედან გამეცალეო. — უთხრა და ისევ განაგრძო მუშაობა.

მოვიდა ზამთარი. წიკო სადილს ამზადებდა. კალია კი მშიერი დალასლასებდა გარეთ. როცა წიკომ დაინახა კალია, მაშინვე შინ მიიპატიჟა და გემრიელი პეპლისა და ბუზის ტოლმა გადმოუღო. კალიამ ზამთარი წიკოსთან გაატარა, ხოლო გაზაფხულზე წიკოს წაჰყვა სამუშაოდ. ვისაც გინდათ წიკოს გაცნობა, მოდით ჩემთან და გაგაცნობთ. ძალიან მოგეწონებათ. მერწმუნეთ, სხვა დროსაც გინახავთ, ოღონდ არ შეგიმჩნევიათ, რადგან ის ყველაზე პატარაა და ყველაზე მშრომელი. ვინც გაიცნობთ, ყველას შეგიყვარდებათ, მერწმუნეთ. წიკო ყველას უყვარს, ყველას, ყველას, ყველას!

მარიტა გონჯილაშვილი
11 წლის

«მფრინავი ხალიჩა»

F-6161

ლევან ამირანაშვილი
12 წლის

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეხედე, როგორ იშლება ია,
აუვავებულმა საქართველომაც გაიცინა და
გაიღიმა, იმგვარად,
როგორც
ამოეო თავი და გაიღიმა იამ,
მზემაც კი დათმო მოწყენილობა,
იმანაც ხხიკი გადაიფურჩქნა,
მზემ გაიღიმა,
მზემ გაანათა,
მთვარემ ვერცხლისფერ რქას მიაწვდინა,
ხელიდან ხელში გადაიტანა მთელი ქვეყანა,
ღრუბელმა წვიმა წამოუშინა,
ეველამ აავსო სიბრძნით ქვეყანა
და
გაიფურჩქნა და აუვავდა ჩვენი სამშობლო,
ჩვენი ქვეყანა.

„ხმალი დაგვიჟანგდა,
სისხლი გაგვიწყალდა“,
ვაიმე, ‘რა ძნელია,
როდესაც ხარ
ბატარა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ «დილის» მიერ 1992 წელს გამოცხადებული შემოქმედ ბავშვთა კონკურსი.

გამარჯვებულები

პოეზიაში

კახიძე მირანდა
მთვარელიძე თათია
ქიტიაშვილი შაქრო
ჩოთირიძე ნანა
ჩხოლარია ანანო
ძუძუშვილი თამარი
წერეთელი მედეა
ჯაფარიძე ბექა

პროზაში

გიორგაძე მარიკა
პავლიაშვილი შორენა
ხარიტონაშვილი ნინო

ხატვაში

არაბული მინდია
ბოსტანაშვილი დათო
გაგუა გივი
თუშაბრამიშვილი დათუნა
კვარაცხელია ნინო
კიკნაველიძე ლევანი
ლომთაძე რეზიკო
მანია თინათინი
ქადაგიშვილი გიორგი

მუსიკაში

ასათიანი ანი
ასლანიშვილი ილონა
ბეჟანიშვილი ნიკა
ექვთიმიშვილი თამუნა
ვარდოსანიძე თამუნა
მემანიშვილი ნიკა
ქსოვრელი თიკო
ქსოვრელი მარიკა
ცქვიტინიძე ანი

პრიზიორი ბავშვები

(ყველა სახეობაში)

აბუაშვილი დათო
ამირანაშვილი ლევანი
არაბული ანანო
ბერიძე მარიამი
გელაშვილი ნინო
გიუნაშვილი ნინო
გოგუაძე ნანა
გონჯილაშვილი მარინე
დათებაშვილი მერი
დათებაშვილი ქეთევანი
ზედგენიძე მზია
თუშაბრამიშვილი თამუნა
ინასარიძე შოთა
კანდელაკი ქეთი
კლდიაშვილი ნინო
ლებანიძე ბიძინა
მაისაშვილი ეკა
მანია დათო
მარგველაშვილი დეა
მარგველაშვილი ნათია
მაჭარაშვილი ბექა
მერაბიშვილი ირაკლი
მერაბიშვილი ნინო
მოხევიშვილი ნათია
ნიქაბაძე ანა
ოჩიგავა სოფიკო
პატაშური თამარი
პატაშური თორნიკე
რაზმაძე ინესა
უგულავა აკაკი
უზილაშვილი გიორგი
ქანთარია გიორგი
ღვედაშვილი მაიკო
ღვინიაშვილი თამუნა
ყამბარაშვილი ილია
შამუგია ეკატერინე
წერეთელი ლიდია
ჭილაძე ანა
ჭილაშვილი ვახტანგი
ჯაფარიძე ლუკა
ჯორბენაძე სერგო
ჯოხარიძე გიგა

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო კვარაცხელია
5 წლის

მთავარი რედაქტორი **თენგიზ ჩალაური**

პასუხისმგებელი მდივანი **ციცინო გაფრელიძე**
განყოფილებები: პროზის **(დ. წიფწიავაძე)**. პოეზიის **(შ. ქალდანი)**, წერილების **(მ. კვეჭანტირაძე)**, მისალები **(მ. გიორგაძე)**.
ყოველთვიური ჟურნალი უმცროსებისათვის, საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა **„საშობლო“**

გადაეცა ასაწყობად 10.03.93, ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.05.93, ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 30 000, შეკვეთა № 363

რედაქტორის მოადგილე **შოთა ხოდაშნელი**

სამხატვრო რედაქტორი **გიორგი როინიშვილი**
ტექნიკური რედაქტორი **ენდი ფერეთელი**

გამოდის **1904 წლიდან**.
მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, კოსტავას, № 14.
ტელეფონები: 93-41-30, 93-10-32.